

„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული

ფედერაცია



„ 22 „

2017 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის მესუთე საკლუბო ჩემპიონატი
2001-2002-2003 წლებში დაბადებულ ძიუდოისტ ვაჟებს შორის

თელავი

2017

11 მარტი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- ძიუდოს კლუბური სისტემის განვითარება საქართველოში;
- იმ კლუბების გამოვლენა, რომლებიც იასპარეზებენ საშემოდგომო ფინალურ ეტაპზე, როგორც “ოქროს ლიგაში”, ასევე “I ლიგაში”.

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2001-2002-2003 წლებში დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები, რომელთა კლუბი ოფიციალურად იქნება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში და გაივლიან რეგისტრაციას ძიუდოს ფედერაციაში. კლუბი, რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას საკლუბო ჩემპიონატში ვალდებულია წარმოადგინოს საჯარო რეესტრიდან კლუბის ამონაწერი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია 2017 წლის 1 მარტამდე, რაც შეეხება კლუბებს, რომლებიც მონაწილეობდნენ წინა ჩემპიონატებში, საკმარისია წარმოადგინონ მხოლოდ განცხადება საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის შესახებ.

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა აკრედიტაცია და განაცხადების მიღება იწარმოებს 2017 წლის 10 მარტის 12.00-საათამდე. კენჭისყრა დაიწყება 10 მარტს 13.00 საათზე ქ. თბილისში. აკრედიტაციის გავლა ასევე შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტში, ფოსტით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით.

შენიშვნა: აკრედიტაციის გავლის გარეშე კლუბები კენჭისყრაზე და შესაბამისად შეჯიბრზე არ დაიშვებიან !!!

- შეჯიბრი ჩატარდება 2017 წლის 11 მარტს ქ. თელავში, ჭიდაობის სპორტულ სკოლაში.
- ჩამოსვლის დღე ქ. თელავი 10 მარტი. წასვლა 12 მარტი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 12.00 საათი.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ გუნდურ პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 5 წონით კატეგორიაში: 55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ
- შეჯიბრი გრძელდება მეოთხედფინალამდე, სადაც გასული 8 საუკეთესო გუნდი იასპარეზებს შემოდგომაზე გასამართ – “ოქროს ლიგაში”, ხოლო დანარჩენი კლუბები – “I ლიგაში”.

აწონვა: ქ. თბილისი, ძიუდოს აკადემია

10 მარტი

55 კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

აწონვა: ქ. თელავი, ჭიდაობის სპორტული სკოლა

10 მარტი

55 კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

11 მარტი ქ. თელავი, ჭიდაობის სპორტული სკოლა

55 კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ
არაოფიციალური 09.00 – 10.00 საათამდე;
ოფიციალური 10.00 – 11.00 საათამდე;

- შეჯიბრზე კლუბები დაიშვებიან საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სპორტსმენთა პირადობის მოწმობის (ორიგინალი) წარმოდგენის შემდეგ.

VI. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 51 64 66;

ელექტრონული მისამართი: geojudofed@gmail.com

საკონტაქტო პირი – ზაქრო კველიშვილი 579 00 00 26

საკონტაქტო პირი – გიორგი ათაბეგაშვილი 595 21 25 23

P.S.

- შეჯიბრებაზე აუცილებელი პირობაა თითოეულ სპორტსმენს ჰქონდეს, როგორც ლურჯი, ასევე თეთრი ფერის კიმაწო.
- სპორტსმენთა მაქსიმალური რაოდენობა კლუბისთვის განისაზღვროს 10-ით, თითოეულ წონით კატეგორიაში 2 კვოტით.
- ის კლუბები, რომლებიც შეჯიბრზე გამოიყვანენ სხვა კლუბის სპორტსმენებს მოიხსნებიან, როგორც ამ შეჯიბრიდან, ასევე 3 წლის განმავლობაში მიეცემათ დისკვალიფიკაცია. კლუბს სპორტსმენის გამოყვანის უფლება აქვს იმ შემთხვევაში თუ ეს სპორტსმენი მინიმუმ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში მაინც ვარჯიშობს ამ კლუბის რომელიმე მწვრთნელთან.
- დასავლეთ საქართველოს კლუბებისათვის საქართველოს ძიუდოს ფედერაცია უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას თბილისი-თელავი-თბილისი. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია კლუბებმა საორგანიზაციო კომიტეტს უნდა მიაწოდონ 2017 წლის 1 მარტამდე.

გენერალური მდივანი



გიორგი ათაბეგაშვილი